

ქართული ეთნოკულტურული რეალიები
ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში
GEORGIAN ETHNO-CULTURAL REALITIES
AS SEEN IN THE GEORGIAN-GERMAN
DICTIONARIES

რუსუდან ზეკალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Rusudan Zekalashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

Names of ethnocultural realities occur in every language. They pose quite serious challenges to lexicographers in the process of compiling translation dictionaries. The reason for that is often the untranslatability of such words and the absence of their precise equivalents in other languages. This is a serious problem when compiling any translation dictionary but at the same time, the entirety of such lexical units create the national and linguistic image of the Universe.

There is not a single uniform opinion about the classification of the ethnocultural lexis among the linguists. Some of them consider that such lexis includes idioms, phraseologisms, proverbs, and even proper names.

When incorporating the names of ethnocultural realities in the dictionary, it is essential to select such words beforehand and divide them into **thematic groups**, on the one hand, and to explore and discover the relevant translation tools, on the other hand. One of the functions of the translation dictionaries is to deliver the culturological data by means of the words of ethnocultural content.

We have analyzed some of the Georgian-German dictionaries (i.e. K. Tschenkéli, 1965-1974; R. Zekalashvili, 2009) from the above-mentioned perspective. Some thematic groups were selected from the available words of ethnocultural content (it should be noted that a certain part of these lexical units was not of Georgian origin), namely:

Traditional festive days, such as: ოათობა – Khatoba (Heiligenfest, Kirchweih, Kirmes) ‘Festival of pagan shrine’, ‘Saint’s day’; ბზობა – Palmsonntag ‘Palm Sunday’; მარიამობა – Mariä Himmelfahrt ‘Dormition of the Virgin’; გიორგობა – Tag des heiligen Georg ‘St George’s Day’.

Customs and traditions: კადაგი – Prediger, Propezeiher ‘shaman, seer’; თამადა – Tafelleiter, Tischvorsitzender ‘chairman of feast’, ‘toast-saying master’; სადგერჯელო – Toast, Trinkspruch ‘toast’; ყანჭი – Trinkhorn, Weinhorn ‘drinking horn’.

Terms referring to work activities such as *tone* – Bäckerei, Tonggefäß ‘cylindrical clay oven for flat bread’; *kvevri* – Weinkrug (in der Erde vergraben) ‘wine-jar (set into ground)’; *saçnaheli* – Trotte, Weinkelter ‘pressing device to press juice of grapes for wine’.

Names of **dishes and sweets**: *hinkali* – Khinkali (Art Ravioli) ‘ravioli’ (chopped meat boiled in pastry sache); *haçapuri* – Käsekuchen ‘pastry with cheese/curds filling’; *sacivi* – Sazivi (Puten- oder Geflügelbrühe mit gewürzter Walnussoße) ‘chicken/turkey in cold walnut sauce’; *sulguni* – Sulguni (eine Art Käse) ‘variety of hard cheese’; *gozinaqi* – Gosinaki (Näscherei aus Nüssen und Honig zum Neujahr) ‘chopped nuts boiled in honey’; *čurčhela* – Tschurtschela (aufgefädelte Nüsse, die im Most getunkt und gedörst sind) ‘string of walnuts/hazel-nuts/raisins etc. dipped into thickened boiled grape-juice’.

Clothes and shoes: *čoḥa-aḥaluḥi* – kaukasische männliche Tracht, Halbrock ‘Caucasian tunic and coat’, ‘man’s national dress’; *kalamani* – Bastschuh, Ledersandale ‘laced sandal’; *nabadi* – Filzmantel, kaukasischer Filzüberwurf ‘felt jacket(s) and cloak(s)’.

Musical instruments: *panduri* – Fanduri (dreisaitiges Zupfinstrument) ‘3-stringed lute’; *čonguri* – Tschonguri (viersaitiges Musikinstrument) ‘four-stringed lute’; *čianuri* – Tschianuri (georgisches Streichinstrument) ‘3/4-stringed Georgian viol’; *gudaštʹviri* – Dudelsack, Sackpfeife ‘bagpipes’.

Dances and songs: *samaia* – ‘women’s round-dance’; *iavnana* – child’s lullaby’.

Plays and other means of entertainment: *qeenoba* – Kheenoba (Maskenspiel am ersten Montag des Fastens) ‘fertility festival, carnival’; *berikaoba* – Berikaoba (Volksmaskenspiel) ‘summer carnival (dressed as wild animal)’; *laḥtaoba* – Gürtelspiel der Jungen ‘boy’s belt game’; *kuḥdamalobana* – Fangspiel, Versteckspiel ‘children’s game hide-and-see’; *daḥuḥobana* – Blindekuh ‘hide-and-see’.

Fairy-tale characters and magic things: *nacarkekia* – Aschenbrödel, Faulenzer, Müßiggänger ‘lazy but sly fairytale hero’; *ḥudiani dedaberi* – Hexe, Alraune ‘a witch’, ‘evil demon’; *učinmačinis kudi* – Tarnkappe ‘magic cap of invisibility’; *naḥvris tvali* – Wunschstein ‘magic stone, magic jewel’.

Terms of endearment: *šeni čirime* – mein Liebes, du meine Güte! (dein Unge-mach auf mich, deine Not mir) ‘my darling, please’ (lit. (give your) trouble to me); *šen genacvale* – mein Liebes!; *tu mir die Liebe!* (ich will dich in der Not ersetzen, ich will für dich durchs Feuer gehen) ‘my dear!’ (let me take your place, if something bad happens).

In the above-mentioned Georgian-German dictionaries several means are used to express Georgian ethnocultural realities: a) definitions of words are transliterated; b) detailed explanations of the content and meaning of the realities without transliterations (or loan translation); c) selecting proper lexical units of similar content available in German.

საკვანძოსიტყვები: ეთნოკულტურული ლექსიკა, ორენოვანი ლექსიკონები, გერმანულ-ქართული ლექსიკონი, თარგმნითი ეკვივალენტი.

Keywords: Ethno-cultural Vocabulary, Bilingual Dictionaries, German-Georgian Dictionary, Translation equivalent.

1 შესავალი

ეთნოკულტურული რეალიის რაობა

ყველა ადამიანი ამა თუ იმ ერის წარმომადგენელია და ყველაფერს აღიქვამს დედაენის მეშვეობით, რაც ქმნის სამყაროს განსხვავებულ ენობრივ ხატებს ენების მიხედვით. ამ თავისებურებების შენარჩუნება მნიშვნელოვანია მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას ან ორენოვან ლექსიკონში, რომელიც ერთგვარად კულტურათა შორის დამაკავშირებელი რგოლია და უნდა ასახოს ლექსიკური ერთეულების ყველა ნიუანსი.

ნებისმიერი სოციუმი თავისი არსებობის განმავლობაში ქმნის და სახელს არქმევს სპეციფიკურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ საგანს, ცნებას, მოვლენას, იქნება ეს კულტურა, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ადათი, საყოფაცხოვრებო ნივთი, საჭმელ-სასმელი, სამოსი და ა.შ. მათი სახელწოდებები შეიძლება იყოს გამჭვირვალე (მოტივირებული) ან გაუმჭვირვალე (არამოტივირებული). ადამიანთა ამ ჯგუფისთვის ეს სიტყვები და მათი დენოტატები კარგად ცნობილი და ახლობელია, მაგრამ პრობლემა თავს იჩენს ტექსტების თარგმნის დროს ან თარგმნითს ლექსიკონებში, რადგან მათი შესატყვისი საგანი სხვა ენობრივ სამყაროში არ არსებობს და, შესაბამისად, არც სახელი მოიპოვება. მთარგმნელის წინაშე დგება პრობლემა, როგორ გადმოიტანოს ესა თუ ის სიტყვა ისე, რომ არ დაიკარგოს არც შინაარსი და არც ემოციურ-სოციოკულტურული შეფერილობა. უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია ორივეს შენარჩუნება და ამიტომ ხშირად უპირატესობას ანიჭებენ შინაარსის გადმოტანას.

რა არის რეალია? ფართო გაგებით, რეალია არის მატერიალური კულტურის ნებისმიერი საგანი. მას სწავლობს ბევრი დარგი: ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვოეთნოგრაფია, ლინგვოსოციოლოგია, ქვეყნისმცოდნეობა (გამოყოფენ ლინგვოქვეყნისმცოდნეობასაც), თარგმანთმცოდნეობა და სხვ., ვიწრო მნიშვნელობით კი, ლინგვისტიკაში „რეალიები არის ლექსემები, რომლებიც აღნიშნავენ მატერიალური კულტურის საგნებს ან მოვლენებს, ეთნოეროვნულ თავისებურებებს, ადათებს, რიტუალებს, ასევე ისტორიულ ფაქტებს ან პროცესებს და, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ ლექსიკური ეკვივალენტები სხვა ენებში“ (იხ. Wikipedia). ზოგჯერ მათში აერთიანებენ ამ სიტყვათა შემცველ თავისუფალ ან მყარ შესიტყვებებს. საგულისხმოა ცნობილ ლინგვისტთა აზრი, რომ რეალიები ფონურ ინფორმაციას შეიცავენ (Виноградов 1978: 87-88; Верещагин... 1990: 11-12; იქვე: 99-100), რომელიც შენახულია შესაბამისი ენის მატარებელი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში. მაგალითად, ქართველის ცნობიერებაში ტოპონიმებს – ასპინძა, შამქორი, დიდგორი, მარაბდა, ბასიანი – სულ სხვა დატვირთვა აქვს, რადგან უკავშირდება დიდ ისტორიულ ბრძოლებს და ამიტომ ეს გეოგრაფიული სახელები ფონურ ინფორმაციას ატარებს.

ეთნოკულტურულ რეალიას ზოგჯერ ამსგავსებენ საკუთარ სახელებსაც (შდრ. კომბლე, ნაცარქექია, ჭინჭრაქა...), უფრო შორსაც მიდიან და ამ ჯგუფში აერთიანებენ დიალექტიზმებს, სასაუბრო ლექსიკასა და ჟარგონიზმებს. ამას გარდა, ეს ლექსიკური ფენა განსხვავდება ხელოვნურად შექმნილი ტერმინისგან, რომელსაც არ აქვს ეროვნული შეფერილობა და უშუალოდ არაა დაკავშირებული ამა თუ იმ ხალხის კულტურასთან.

- რეალიასთან დაკავშირებით თავს იყრის რამდენიმე საკითხი:
1. თვით ამ ცნების განმარტება და მიმართება ეროვნულ კულტურასთან;
 2. ამ ლექსიკური ერთეულების მოძიება და თემატური კლასიფიკაცია;
 3. რა საშუალებით უნდა გადმოიცეს სხვა ენაზე.

რეალია შეიძლება უკავშირდებოდეს გეოგრაფიულ გარემოს (გარკვეულ კონტინენტს, ქვეყანას, კუთხეს...), რომელიმე სოციუმს (ეთნოგრაფიულ ან სოციალურ ჯგუფს...) ან დროის მონაკვეთს (მაგ., საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდს).

ეთნოკულტურული რეალია საკმაო რაოდენობითაა ყველა ენაში და იქმნება ასეთ სიტყვათა ლექსიკონებიც (მაგ., ისაევი 2002).

2 ეთნოკულტურული რეალიათა კლასიფიკაციის საკითხი

როგორც აღვნიშნეთ, ეთნოკულტურულ რეალიებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია თემატური დაჯგუფება, რომელსაც საფუძვლად ედება შესაბამისი საგნების / მოვლენების გამოყენების სფერო ან გავრცელების არეალი (რაც ხშირად მითითებულია კიდევ ლექსიკონში).

მთარგმნელები და ლინგვისტები ყურადღებას აქცევენ იმასაც, რა მეტყველების ნაწილებით და როგორი აგებულების სიტყვებითაა გადმოცემული რეალიები. ხაზი უნდა გაესვას, რომ მათი უმრავლესობა არსებითი სახელებია, რაც მოსალოდნელიც იყო: ერთსიტყვიანი (აკვანი, მაცრიონი, სამძიმარი... ჩურჩხელა, ხინკალი, საცივი...), კომპოზიტი (ნაცარქექია, ბაყბაყდევი), აბრევიატურა (მაგ., სახელგამი = სახელმწიფო გამომცემლობა, საბლიტგამი = საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა, სუსი = სახელმწიფო უშიშროების სამსახური, სუკი = სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი), ორ- ან მეტსიტყვიანი (კუდიანი დედაბერი, უჩინმაჩინის ქუდი), ზოგჯერ კი – მთელი წინადადება (იდიომებსა და ანდაზებში: ვინ შეაბამს კატას ყვანს; კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო; ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო). თარგმნისას ყოველთვის ვერ ხერხდება ერთსიტყვიანი ლექსიკური ერთეულის გადმოცემა შესაბამისად, ხანდახან საჭიროა კომპოზიტის ან კალკირებული შესიტყვების მოშველიება.

2.1 საგნობრივი კლასიფიკაცია

ეთნოკულტურული რეალიათა კლასიფიკაცია განპირობებულია ეროვნული სპეციფიკით და მეტ-ნაკლებად განსხვავებულია სხვადასხვა ენისთვის. გადამწყვეტია შესაბამისი დენოტატის გამოყენების არეალი (ან გავრცელების პერიოდი). არსებობს საკმაოდ ბევრი თემატური კლასიფიკაცია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ამოსავალი ნიშნით (ამის შესახებ იხ. Мосиенко 2005: 157-160).

ზოგი მეცნიერი გამოყოფს რამდენიმე დიდ ჯგუფს (მაგ., ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალიებს), რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს ქვეჯგუფებს. ყველაზე მრავალრიცხოვანი და საინტერესო ამათგან ეთნოგრაფიული რეალიებია: ყოფასა და კულტურასთან დაკავშირებული ნივთები (საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საგნები, სამოსი და ფეხსაცმელი, კერძები და ტკბილეული...), საზომი ან ფულის ერთეულები და სხვ. გეოგრაფიული რეალიები მოიცავს გეოგრაფიულ ობიექტებს, ენდემურ მცენარეებსა თუ ცხოველებს და სხვ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიები უკავშირდება

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, ხელისუფლების ორგანოებს, სამოხელეო თანამდებობებს, წოდების, ტიტულისა თუ კასტის აღმნიშვნელ სიტყვებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

2.2 კლასიფიკაცია დროითი და ლოკალური მიმართებების მიხედვით

სიტყვების გამოყენების პერიოდის თვალსაზრისით განასხვავებენ ისტორიულ და თანამედროვე რეალიებს (შესაბამისად, ესაა ისტორიზმები, არქაიზმები ან ნეოლოგიზმები (მაგ., ხვეისბერი, ერისთავი, მეჭურჭლეთუხუცესი, თორ-აბჯარი, ჩაჩქანი და სხვ.). ამას გარდა, ასახელებენ საკუთარ (ეროვნულ ან ლოკალურ), უცხო და ინტერნაციონალურ რეალიებს. მაგ., ელარჯი და გებჟალია მეგრული კერძებია, კუბდარი – სვანური, ამიტომ შესაძლებელია მივიჩნიოთ ლოკალურ რეალიებად, თუმცა ასეთი დაყოფა მაინც პირობითია და ზოგჯერ სადავოც, რადგან დღეს ამ კერძებს მთელ საქართველოში ამზადებენ. მაგ., ჩურჩხელა და გოზინაყი ეროვნულია, ხოლო ჯანჯუხა – ლოკალური, რადგან გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში.

ენათმეცნიერებმა და ქვეყნისმცოდნეებმა ყურადღება მიაქციეს ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელ განსხვავებულ სიტყვებს ან ერთი სიტყვის სემანტიკის ცვლას ენის ვარიანტებში, მაგ., ინგლისურში – ბრიტანეთსა და ამერიკაში (იხ. Томахин 1988), გერმანულში – გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში.

3 ქართულ ეთნოკულტურულ რეალიათა სემანტიკური ჯგუფები

სხვადასხვა ენაში ეთნოკულტურული რეალიების სემანტიკური ჯგუფების რაოდენობა ერთნაირი არ იქნება. ჩვენ ქართულ ენაში გამოვყავით ასეთი ლექსიკური ერთეულების თემატური ჯგუფები კიტა ჩხენკელის ცნობილი „ქართულ-გერმანული ლექსიკონისა“ (Tschenkéli 1965-1974) და 2009 წელს გამოცემული „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ მიხედვით (ზექალაშვილი 2009; მე-2 გამოცემა: 2015)¹.

ყურადღება არ გაგვიმახვილებია ლექსიკური ერთეულების წარმომავლობაზე, რადგან ასეთ სიტყვათა ერთი ნაწილი ქართული არაა, მაგრამ იმდენად შესისხლხორცებულია ჩვენს ყოფასთან, რომ ეთნოკულტურულ რეალიად მივიჩნევთ (მაგალითად, სპარსულია ჯარა, თარი, თურქული – ფაფახი, ჩოხა, ყაბალახი, ბერძნული – პანაშვიდი და სხვ.).

პირველ ჯგუფად გამოვყავით **ქვეყნის სხვადასხვა კუთხისა და იქ მცხოვრებთა სახელები**: ქართლი, იმერეთი, ხევსურეთი, ფშავი, სამეგრელო, სვანეთი... ქართლელი, იმერელი, ხევსური, ფშაველი, მეგრელი, სვანი...

დღესასწაულები (რიტუალები, ტრადიციები და ადათ-წესები): ხატობა, ჭიაკოკონობა... ამაღლება, აღდგომა, შობა, მარიამობა, გიორგობა, ფერისცვალება... ხვეისბერი, ქადაგი, თამადა, სადღეგრძელო, ყანწი... მეჯვარე, მაყარი, სამძიმარი, პანაშვიდი, ზარი, ჭირისუფალი...

საცხოვრებელი გარემო და საოჯახო ნივთები: ოდა, ფაცხა, თონე, საწნახელი, მარანი, ქვევრი, ჭური, ორშიმო, გოდორი, გუდა, ტიკი, როდინი...

¹ აბსტრაქტის ინგლისურ ვარიანტში რეალიების თარგმანები (ან განმარტებები) ძირითადად, ეყრდნობა რეიფელდის ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს (Reyfield 2006).

სამეურნეო საქმიანობასა და რეწვასთან დაკავშირებული ლექსიკა: კვერი, თითისტარი, ჯარა, გუთნისდედა...

მუსიკალური საკრავები: ფანდური, ჩონგური, სალამური, ჭიანური, გუდასტვირი, ჭიბონი, დოლი, დიპლიპიტო...

ეროვნული სამოსი (თავსაბურავი ან ფეხსაცმელი): ჩოხა, ახალუხი, ფაფახი, ყაბალახი, ქალამანი, ნაბადი, პაჭიჭები...

ცეკვები და სიმღერები: აჭარული, ხორუმი, ლეკური, სამაია, იავნანა...

საბავშვო თამაშები და გართობები: დამალობანა, დაჭერობანა, კენჭაობა, ლელობურთი... ყეენობა, ბერიკაობა...

ხალხური ზღაპრებისა და მითოსის პერსონაჟები (ან ჯადოსნური ნივთები): ნაცარქექია, კომბლე, ჭინჭრაქა, ასფურცელა, ოჩოპინტრე, ქოსატყუილა, კუდიანი დედაბერი, ალქაჯი...

კერძები და ტკბილეული: საცივი, სულგუნი, ელარჯი, ხინკალი, ხაჭაპური, ლობიანი, მხლოვანი, კუბდარი, ჭვიშტარი, ნაზუქი, მწვადი, ჩახობილი, ჩაქაფული, ჩიხირთმა, ბოზბაში, გებჭალია, გოზინაყი, ჩურჩხელა, ფელამუში, თათარა და სხვ.

ბავშვებთან გამოყენებული სიტყვები: აჩუ-აჩუ, ბუა, ამუნია, ფისუნია, წია-წია, პიპია, ბაჩები, ზიზია...

საალერსო და ფიცილის ფორმულები: შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ შემოგველე, შენმა მზემ, დედაშვილობამ, მამაშვილობამ...

4 ეთნოკულტურული ლექსიკის გადმოცემა ქართულ-გერმანულ ლექსიკონში

ქართული ლექსიკოგრაფიული მასალის გაცნობა მოწმობს, რამდენად დიდი პრობლემის წინაშე დგას ლექსიკონის შემდგენელი ეთნოკულტურული ლექსიკის თარგმნისას.

სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულია ასეთი ლექსიკური ერთეულების ლექსიკალიზაციის სხვადასხვა საშუალება. ორენოვან თარგმნითს ლექსიკონებში ზოგჯერ ამ სიტყვებს უთარგმნელად წერენ, ოღონდ ახსნილია სემანტიკა, იშვიათად მოძებნილია მსგავსი ეკვივალენტი.

რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, ამა თუ იმ რეალიის გადმოსატანად მთარგმნელი გაცილებით მეტ საშუალებას იშველიებს: კალკირებული სიტყვის ან სემანტიკური ნეოლოგიზმის შექმნას, კონტექსტურ ან ჰიპონიმურ თარგმანს, მსგავსი რეალიის სახელს სხვა ენაზე ან უკიდურეს შემთხვევაში – ტექსტში მის გამოტოვებასაც (ამის შესახებ იხ. Panasiuk 2005)².

ეთნოკულტურულ ცნებებს დასახელებულ ლექსიკონებში ხშირად ახლავს შესაბამისი ახსნა. მაგალითად, დღესასწაულების, ადათ-წესების, ეროვნული სამოსის, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების, კერძების, ზღაპრული პერსონაჟების სახელებს, საალერსო სიტყვებს და ა.შ. მათი სემანტიკის გადმოსაცემად კი მოშველიებულია განმარტებები.

² მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენებული რეალიების თარგმნის ხერხებზე სტატიაში არ გვექნება მსჯელობა.

2009 წელს გამოცემულ ლექსიკონში უთარგმნელადაა შეტანილი ქართული კერძების ან ტკბილეულის სახელები³:

სულგუნი Sulguni m (eine Art Kase) – გერმანულად მიწერილია: ყველის ნაირსახეობა⁴.

ჩურჩხელა Tschurtschela f (aufgefädelt Nüsse, die im Most getunkt und gedörst sind) – ძაფზე ასხმული ნიგოზი, თათარაში ამოვლებული და მზეზე გამშრალი; კ. ჩხენკელის განმარტებაა: auf e-n Faden aufgezogene u. in eingedicktem Traubensaft kandierte Wal- od. Haselnüsse (Tschenkéli 1965-1974).

გოზინაკი კულ. Gosinaki m (Näscherei aus Nüssen und Honig, die Süßigkeit zum Neujahr) – ტკბილეული ნიგოზისა და თაფლისაგან, რომელიც საახალწლოდ მზადდება.

ფელამუში Felamuschi m (breiartige süße Beize aus Weintraubensaft und Maismehl) – ფაფისებრი ტკბილი მასა, დამზადებული ყურძნის წვენიდან (ზადაგისა) და სიმინდის ფქვილისგან.

თათარა Tatara f (Brei aus Traubensaft und Weizenmehl) – ფაფა, დამზადებული ყურძნის წვენიდან (ზადაგისა) და პურის ფქვილისგან.

საცივი Sazivi (Puten- oder Geflügelbrühe mit gewürzter Walnusssoße) – ინდაურის ან ფრინველის ხორცის ბულიონი, სანელებლებით შეკმაზული ნიგოზის სოუსში.

ხინკალი Chinkali m (große Klößchen mit Fleischfüllung, wie Pelmeni oder Ravioli) – ხორცის გულსართიანი მოხარშული კვებები, პელმენისა და რავიოლის მსგავსი.

კუბდარი Kubdari m (Brot mit Fleischfüllung) – ხორცის გულსართიანი პური (სვანეთში).

ბოზბაში Bozbaschi m (Suppe aus dem Schaffleisch) – ცხვრის ხორცის წვნიანი.

ჩიხირთმა Tschichirtma f (legierte Hühnerbrühe) ქათმის წვნიანი, სანელებლებით შეკმაზული.

ზოგიერთი სიტყვა არაა ტრანსლიტერაციით დაწერილი და ახლავს მხოლოდ კომენტარები:

ლობიანი Brot, gefüllt mit gekochten Bohne – მოხარშული ლობიოს გულსართიანი პური.

ტყლაპი Fruchtplätzchen n (dünne getrocknete Paste aus sauren Pflaumen) – ქლიავისგან დამზადებული თხელი პასტა, მზეზე გამხმარი.

მწვადი Schaschlik m, Fleischspieß m (auf einem Spieß gebratenes Fleisch) – შამფურზე შემწვარი ხორცი.

დაძებნილია მეტ-ნაკლებად მსგავსი ეკვივალენტები სიტყვებისთვის: ხაჭაპური, ტკბილისკვერი, ქადა, ღომი, მხალი და სხვ.

მაგ., **ხაჭაპური** Käsekuchen m, Käsebrot n, Quarkkuchen m, Quarkpfannkuchen m, Quarktasche f; აქ შერჩეული გერმანული სიტყვები ნიშნავს ყველიან პურს, ნამცხვარს ან ბლითს. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ ესადაგება ქართულ რეალიას.

³ უთარგმნელ სიტყვებში გერმანულ ენაზე გადატანისას პრობლემას ქმნის არტიკლის შერჩევა. ამ დროს გათვალისწინებულია სხვა ლექსიკონებში გამოყენებული პრაქტიკა.

⁴ მაგალითებში განმარტებები ძირითადად დასახელებულია 2009 წელს გამოცემული ქართულ-გერმანული ლექსიკონიდან.

ცეკვებისა და სიმღერების სახელებთან აღნიშნულია გავრცელების რეგიონი, მამაკაცები ასრულებენ თუ ქალები. მაგ.: აჭარული, ხორუმი, ლეკური, სამაია, იავნანა...

სამაია Samaia f (Frauentanz) – ქალების ცეკვა.

ლეკური Lesginka f, lesgischer Tanz; ხორუმთან Chorumi m წერია, რომ მამაკაცების საფერხულო ცეკვაა.

იავნანას თარგმანში, ცხადია, ვერ შენარჩუნდა ქართული სიტყვის კონოტაცია (ია-ვ + ნანა), თუმცა აღნიშნულია, რომ ესაა აკვანთან შესასრულებელი სიმღერა: Wiegenlied n; თვითონ აკვანიც ეთნოკულტურული რეალიაა და თარგმნილია, როგორც ბავშვის საწოლი, რომელშიც ჩვილს ძილის წინ არწევენ და აძინებენ.

სიტყვა **ჭირისუფლისთვის** დავასახელებთ თარგმნით ეკვივალენტებს სკ. ჩხენკელის ლექსიკონიდან: Leidtragender m, Hinterbliebener m; გადატანით: Betreuer m, Fürsorger m.

ცალკე გამოვყავით ხალხური ზღაპრების (მითოლოგიის) პერსონაჟების ან ჯადოსნური ნივთების სახელები. მაგ., **ნაცარქექიას** ბევრი სინონიმი აქვს მიწერილი, მაგრამ ზუსტად ვერც ერთი ვერ ასახავს ქართული სიტყვის კონოტაციას: Aschenputtel n, Aschenbrödel n კონკრეტულ მნიშვნელობითაც გამოიყენება (რადგან მათი პირველი კომპონენტი ნაცარია), მაგრამ მათში არ იგულისხმება უსაქმურობა და სიზარმაცე. ქართულად ნაცარქექიას (ზღაპრის შესაბამისად) გადატანით უწოდებენ უსაქმურ, უმაქნის კაცს, ამიტომ შერჩეულია სხვა სინონიმებიც: Faulenzer, Müßiggänger, Nichtstuer; ოჩოპინტრესთვის მოძებნილია თარგმნითი ეკვივალენტი: Waldgeist m (ნიშნავს ტყის სულს).

საინტერესოა სიტყვა **დოყლაპია**, რომლის რამდენიმე შესატყვისი დაიძებნა გერმანულ ენაში: Gaffer m, Maulaffe m, Tagedieb m, Drückeberger m. ცხადია, ეს ეკვივალენტები ვერ გადმოსცემს ქართული სიტყვის კონოტაციას: დოყლაპია არის ადამიანი, რომელიც დოს ყლაპავს (რადგან ამას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება) ანუ ის უსაქმური და არაფრის გამკეთებელია; გერმანული სინონიმებიდან აღსანიშნავია Tagedieb, რომელიც სიტყვასიტყვით აღნიშნავს „დღის ქურდს“ (ვინც დროს უაზროდ ფლანგავს ანუ დროს იპარავს); უსაქმურის აღმნიშვნელია ასევე Hans Guckindieluft⁵. ეს ხელოვნურად შექმნილი სიტყვაა და ნიშნავს: „უყურე ჰაერს“ (როცა პირღია ადამიანი უაზროდ იყურება აქეთ-იქით).

ქართული **ძილისგუდას** გერმანული ეკვივალენტია Schlafmütze (აღნიშნავს „ძილის ქუდას“), ნომინაციის მსგავსება თვალში საცემია, მაგრამ სხვაობა აშკარაა. ვფიქრობთ, ქართული ვარიანტი გუდა უფრო მიესადაგება ძილის მოყვარულ ადამიანს, ვიდრე ქუდი.

გამოსაყოფია **მცენარეთა სახელები**, რომელთაც სპეციფიკური კონოტაცია აქვთ: აბრეშუმა Hexenzwirn f, ბებრისკონა Ackernessel f, Taubnessel f, ქრისტესისხლა Schéllkraut n -(e)s, Schéllwurz f, ძაღლყურმენა Nachtschatten m, მრავალძარღვა Wegerich m, ნაცარქათამა Filzkraut n და სხვ. (მცენარეთა სახელებების შესახებ იხ. ჯორბენაძე 1997: 49; იქვე: 93-98; ზექალაშვილი 2016: 62-70).

⁵ გერმანულ ზღაპრებში ჰანსი ხშირად გამოყვანილია სულელ, ბრიყვ და უსაქმურ პერსონაჟად.

ცხადია, თარგმანებში ქართული სიტყვის მოტივაცია და ელფერი დაკარგულია, რადგან გერმანული სახელდების პრინციპი მათში განსხვავებულია.

ლექსიკონში ვხვდებით ბავშვური ენისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულსაც შესაბამისი კომენტართა და განმარტებით: ამუნია, ბუა Schreckgespenst n; აჩუ-აჩუ Trapptrapp n, Spielpferdchen n; ბეკეკა Zickel f; კიჭი Zähnchen n; კოკოკო Putput n; ნანა Schlaf m; დრუტუნა Schwein n; ჩიორა, ჩიტუნია Piepvoegel m; ცუგა Hündchen n; წია-წია (წიწილა) Put-Put n და სხვ.

ცალკე შევჩერდებით რამდენიმე საალერსო მყარ შესიტყვებაზე, რომელთა თარგმნა სიტყვასიტყვით შეუძლებელია. ამიტომ ლექსიკონში გამოყენებულია სიტუაციური ეკვივალენტი: **შენი ჭირიმი** bitte schön; seien Sie so nett (freundlich; gut)! (ზექალაშვილი 2009); (Zärtlichkeitsform) mein Liebes, sei so lieb, bitte; du meine Güte! ფრჩხილებში კი მოცემულია ზუსტი თარგმანიც: dein Ungemach auf mich (Tschenkéli 1965-1974). **შენ გენაცვალე**: mein Liebes!; tu mir die Liebe! სიტყვასიტყვით: ich will dich in der Not ersetzen, ich will für dich durchs Feuer gehen; ფიცილის ფორმულა **შენმა მზემ** მოითხოვდა ისეთი ეკვივალენტის მოძებნას, რომელიც გამოიყენება მსგავს სიტუაციაში, რადგან ზუსტი თარგმანი გაუგებარი იქნებოდა: bei deiner Seele! meine Hand drauf! so wahr ich lebe!

როგორც ვხედავთ, განსახილველ ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში ეთნოკულტურულ რეალიათა დასახელებების გადმოსატანად მოშველიებულია სამი ხერხი: უთარგმნელად გადმოტანა (შესაბამისი განმარტებების დართვით); მხოლოდ სემანტიკის ახსნა და მსგავსი სემანტიკის ლექსიკური ერთეულების მოძებნა.

დასკვნები

ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონების გაცნობა მოწმობს, რამდენად დიდი პრობლემის წინაშე დგას ლექსიკოგრაფი ეთნოკულტურული რეალიების ეკვივალენტების შერჩევისას.

განალიზებულ ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში ეთნოკულტურულ რეალიათა ძირითადი თემატური ჯგუფებია: რელიგიური და ეროვნული დღესასწაულები, ტრადიციები და ადათ-წესები, სამეურნეო საქმიანობასა და რეწვასთან დაკავშირებული, ეროვნული კერძები და ტკბილეული, ეროვნული სამოსი, მუსიკალური საკრავები, საბავშვო თამაშები და გართობები, ხალხური ზღაპრების პერსონაჟები, ჯადოსნური ნივთები, საალერსო სიტყვები და სხვ.

ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში ეთნოკულტურულ რეალიათა გადმოსატანად გამოყენებულია რამდენიმე საშუალება: ა) უთარგმნელად, ტრანსლიტერაციით დაწერილი სიტყვის განმარტება; ბ) რეალიის შინაარსის ახსნა (ან კალკირებული თარგმანი); გ) გერმანულ ენაში უკვე არსებული მსგავსი შინაარსის სიტყვის მოძიება.

ამ გამოცდილების განზოგადება შესაძლებელია სხვა ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონების შესადგენად.

დამოწმებული ლიტერატურა

- ზექალაშვილი 2009:** ზექალაშვილი რ., ქართულ-გერმანული ლექსიკონი. რედაქტორი დ. ბახტაძე. თბილისი, 2009.
- ზექალაშვილი 2016:** ზექალაშვილი რ., მცენარეთა სახელების აგებულებისა და სახელდების შესახებ ქართულ ენაში (რუსულ და გერმანულ ენებთან შეპირისპირებით). ტერმინოლოგიის საკითხები, II, გვ. 58-80: <http://termbank.ge/wp-content/uploads/2018/02/term2016.pdf> დამოწმება: 03.10.2021.
- ჯორბენაძე 1997:** ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა. რედაქტორი გ. გოგოლაშვილი. თბილისი, 1997.
- Panasiuk 2005:** Panasiuk I. Kulturelle Aspekte der Übersetzung: Anwendung des ethnopsycholinguistischen Lakunen-Modells auf die Analyse und Übersetzung literarischer Texte. Münster: LIT Verlag. 2005.
- Reyfield 2006:** Reyfield D. A Comprehensive Georgian-English Dictionary in 2 vol/ Amirejibi R., Apridonidze Sh., Broers L., Chanturia A., Chkhaidze L. and Margalitadze T. as assistant compilers. London: Garnett Press. 2006.
- Tschenkéli 1965-1974:** Tschenkéli K. Georgisch-Deutsches Wörterbuch, 3 Bd. Zürich: Amirani Verlag, (1965-1974).
- Верещагин... 1990:** Верещагин Е.М., Костомаров В.Г. *Язык и культура: лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного*. Изд. 4-е, переработанное и дополненное. Москва: Русский язык, 1990.
- Виноградов 1978:** Виноградов В.С. (1978). *Лексические вопросы перевода художественной прозы*. Москва: Издательство Московского университета, 1978.
- Исаев 2002:** Исаев М.И. *Словарь этнолингвистических понятий и терминов*. Москва: Флинта. 2002.
- Мосиенко 2005:** Мосиенко Л.В., Лингвокультурологическая проблема классификации реалий: *Вестник ОГУ*, №11, 155-161. 2005.
- Томахин 1988:** Томахин Г.Д.(1988). *Реалии-американизмы*. Пособие по страноведению, Т 56. Москва: Высшая школа, 1988.
- Wikipedia:** <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A0%D0%B5%D0%B0%D0%B-V%D0%B8%D1%8F> დამოწმება: 03.10.2021.